

სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორია TEMPUS/ERASMUS + პროექტის მონაწილეა

Erasmus+2017 წლის საგრანტო კონკურსის შედეგების მიხედვით, ინსტიტუციური თანამშრომლობის (CBHE/ex-Tempus) ფარგლებში, სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორიამ საგრანტო დაფინანსება მოიპოვა. სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორია ლუბლიანას უნივერსიტეტის (სლოვენია) მიერ წარდგენილი პროექტის “Improving skills in laboratory practice for agro-food specialists in Eastern Europe Region” (586383-EPP-1-2017-1-SI-EPPKA2-CBHE-JP) ერთ-ერთი პარტნიორია.

პროექტი - „აგრარული დარგის სპეციალისტებისათვის კვების ტექნოლოგიების უნარების განვითარება ლაბორატორიულ პრაქტიკაში (აღმოსავლეთ ევროპის რეგიონი)“ - ძალაში 2017 წლის 14 ნოემბრიდან შევიდა. პროექტის თანამშრომლობის ხელშეკრულება 2018 წლის აპრილის ბოლოს გაფორმდება.

- აპლიკანტი - ლუბლიანას (სლოვენია) უნივერსიტეტი;
- აღნიშნულ პროექტში ჩართულია სხვადასხვა ქვეყნის 18 უნივერსიტეტი და ლაბორატორია;
- სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორია ამ პროექტის რიგით მე-19 პარტნიორია,
- საქართველოდან პროექტში, ასევე, მონაწილეობს: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და

სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორიის როლი პროექტში:

პროექტში საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორიის როლი უკავშირდება პროექტის საერთო მიზნებსა და პრიორიტეტებს. მისი ჩართულობა ფოკუსირებულია პროექტით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელებაზე.

პროექტის ძირითადი მიზანია აგროსასურსათო პროდუქტების ხარისხის კონტროლის გაუმჯობესება იმ ქვეყნებში, რომლებიც ახლახანს გახდნენ ევროკავშირის ასოცირებული წევრები, მათი სპეციალისტების მომზადების გაუმჯობესების კუთხით. პროექტი ეხება DCFTA-ის ხელშეკრულების ნაწილს სურსათისა და სოფლის მეურნეობის პროდუქტების უსაფრთხოების შესახებ, რომელიც უზრუნველყოფილი იქნება შესაბამისი ლაბორატორიული კონტროლისა და ევროკავშირის კანონმდებლობასა და სტანდარტებთან დაახლოების გზით.

ეს მიიღწევა სამი კონკრეტული ამოცანის მეშვეობით:

1. ლაბორატორიული პრაქტიკის სპეციალობისათვის სპეციალიზირებული სამაგისტრო კურსების შექმნა აგრობიზნესის სექტორის სპეციალისტებისათვის უკრაინაში (UA), საქართველოსა (GE) და მოლდოვაში MD-ში (ვეტერინარული მედიცინა, აგრონომია, მეცხოველეობა, კვების ტექნოლოგიები);
2. უნივერსიტეტის სპეციალურ კურსებზე სასოფლო-სამეურნეო სექტორში მომუშავე ლაბორატორიული პერსონალის დიპლომის შემდგომი მომზადების მიზნით პარტნიორული ჯგუფების შექმნა;

3. ლაბორატორიების მიერ მათი პერსონალისთვის უზრუნველყოფილი სასწავლო კურსების განახლება;
4. უნივერსიტეტებისა და ლაბორატორიების თანამშრომლობის ახალი პრაქტიკის შემუშავება ორმხრივი მომგებიანობის საფუძველზე: გაცვლითი პლატფორმის შექმნა, რომელიც საშუალებას მისცემს კურსდამთავრებულებს, მოახდინონ უნარებისა და კომპეტენციების ადაპტირება შრომის ბაზრის საჭიროებების მიხედვით, უზრუნველყოფს სასწავლო პროგრამისა და აგრო-საკვების ლაბორატორიის პერსონალისათვის საჭირო უნარ-ჩვევებისა და კომპეტენციების რეგულარულსა და მუდმივ განახლებას.

პროექტის შედეგები:

- სასწავლო კურსების შემუშავება. სტუდენტებისა და ლაბორატორიის პერსონალისთვის საჭირო კომპეტენციების მოპოვება;
- მასწავლებელთა ჯგუფების მომზადება;
- პედაგოგიური მხარდაჭერის უზრუნველყოფა;
- თანასწავლების საშუალებების შექმნა უნივერსიტეტებისა და ლაბორატორიების თანამშრომლების მონაწილეობით.

პროექტით გათვალისწინებული დონისძიებები და მეთოდოლოგია:

პროექტის ვადა გათვალისწინებულია 36 თვეზე. პროექტი მიზნად ისახავს აგრო-კვების სექტორში ლაბორატორიული პრაქტიკის 4 სპეციალიზირებული კურსის შექმნას: ვეტერინარული მედიცინა, აგრონომია, მეცხოველეობა და კვების ტექნოლოგიები. აგრეთვე, შემუშავდება საერთო სასწავლო კურსი და დიპლომის შემდგომი ტრენინგების სასწავლო კურსები.



Co-funded by the
Erasmus+ Programme
of the European Union

